საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №07-01\05

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 07-01\32

ქ. ბათუმი **01 ოქტომბერი, 2019 წელი**

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 07 ნოემბრის № 01 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესი''-ში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 07 ნოემბრის №01 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები, კერძოდ, დანართი 1-ის:

ა) **პირველი მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ'' და ,,ე'' ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
,,დ) ,,**საფაკულტეტო სახელობითი სტიპენდია**“ - ყოველთვიურად 150 ლარის ოდენობით, რომლის დასახელება განისაზღვრება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით, ენიშნება ჩატარებული კონკურსის შედეგად გამარჯვებულ კანდიდატებს (სწავლების მეორე წლიდან - **მესამე სემესტრიდან, წინამდებარე წესის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული** ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების იმ სტუდენტებს, რომლებსაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებში (როგორც ძირითად ან/და დამატებით, ისე საკუთარი ინიციატივით დარეგისტრირებულ სასწავლო კურსში), **,,საშუალო შეწონილი''** ფორმულით მიღებული აქვთ 91 ქულა და მეტი და რომლებიც გამოირჩევიან აქტიური სამეცნიერო საქმიანობით (გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი შესაბამის

სპეციალობაში ან არის სხვადასხვა სამეცნიერო ან სასწავლო კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების და ა.შ. მონაწილე და აქვს მაღალი მიღწევები. საშუალო შეწონილის გამოთვლის ფორმულა;

$$\frac{A^1 \times B^1 + A^2 \times B^2 \ldots}{A^1 + A^2 \ldots}$$

A- საგნის კრედიტი, B - შეფასების ქულა;)

ე) ,,**საუნივერსიტეტო სახელობითი სტიპენდია“,** ყოველთვიურად 200 ლარის ოდენობით, რომლის დასახელება განისაზღვრება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით, ენიშნება ჩატარებული კონკურსის შედეგად გამარჯვებულ კანდიდატს (სწავლების მეორე წლიდან - **მესამე სემესტრიდან, წინამდებარე წესის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული** ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების იმ სტუდენტებს, რომლებსაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებში (როგორც ძირითად ან/და დამატებით, ისე საკუთარი ინიციატივით დარეგისტრირებულ სასწავლო კურსში), **,,საშუალო შეწონილი”** ფორმულით მიღებული აქვთ 91 ქულა და მეტი და რომლებიც გამოირჩევიან აქტიური სამეცნიერო საქმიანობით (გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი შესაბამის სპეციალობაში ან არის სხვადასხვა სამეცნიერო ან სასწავლო კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების და ა.შ. მონაწილე და აქვს მაღალი მიღწევები. საშუალო შეწონილის გამოთვლის ფორმულა;

$$\frac{A^1 \times B^1 + A^2 \times B^2 \ldots}{A^1 + A^2 \ldots}$$

A- საგნის კრედიტი, B - შეფასების ქულა;)”;

ბ) **პირველი მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,8. სტუდენტს ერთდროულად ორი სახის ბსუ-ს სტიპენდია არ ენიშნება. თუკი სტუდენტს დანიშნული აქვს ბსუ-ს რომელიმე სახის სტიპენდია, მასზე გაიცემა იმ სახის სტიპენდია, რომელსაც თავად განსაზღვრავს (წერილობითი განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნეს სტიპენდიის დანიშვნის აქტის გამოცემიდან **არაუგვიანეს 2 სამუშო დღისა).“;**

გ) მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,6. ბსუ-ს სტუდენტი უფლებამოსილია წარმოადგინოს განცხადება საუნივერსიტეტო ან/და საფაკულტეტო სახელობითი სტიპენდიის მოსაპოვებლად.“;

დ) მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,1. კონკურსანტის მიერ საკონკურსო განაცხადი და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთ ეგზემპლარად, სადაც პრიორიტეტისა და რიგითობის მიხედვით მითითებული უნდა იყოს ის საუნივერსიტეტო ან საფაკულტეტო სახელობითი სტიპენდია/სტიპენდიები, რომლის მოპოვებაც სურს სტუდენტს“.

2. წინამდებარე ცვლილებების გათვალისწინებით **„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო**

უნივერსიტეტის სტუდენტთათვის სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის” კონსოლიდირებული ვერსიის მომზადება დაევალოს ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტს.

3. წინამდებარე გადაწყვეტილების და კონსოლიდირებული წესის ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
4. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
5. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დავით ბარათაშვილი**